ხელშეკრულება

2016/49

ქ. თბილისი 17 02 2016 წ.

ერთის მხრივ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახემწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პაპუნა შენგელაიას სახით, (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ შპს „41 გრადუსი“ მისი დირექტორის სოფიო სიორიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. კონტრაქტის საგანი

1.1 შპს „41 გრადუსი“ იღებს ვალდებულებას გაუწიოს ევროპელი და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს მომსახურება კერძოდ (CPV 55300000):

საქმიანი სადილის ორგანიზება.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმა

2.1 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 710.50 (შვიდასათი ლარი 50 თეთრი) ლარს.

2.3 გადახდა განხორციელდება მომსახურეობაზე შესაბამისი საბუთების წარმოდგენიდან 15 დღის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 ხელშეკრულება მოქმედების ვადა განისაზღვრება მასზე ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრამდე ან/და მხარეთა მიერ მის სრულიად და ჯეროვნად შესრულებამდე.

4. მხარეთა უფლება მოვალეობანი

4.1 დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების ღირებულება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად.

4.2 მომწოდებელი ვალდებულია დამკვეთს ხელშეკრულების დადებიდან 2 დღის განმავლობაში დროულად და ხარისხიანად გაუწიოს მომსახურება.

5. პასუხისმგებლობა

5.1 მხარეები სრულიად აანაზღაურებენ მათი ბრალეული ქმედებით მეორე მხრისათვის მიყენებული ზარალს.

5.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან შესრულების ვადის გადაცილებისთვის შემსრულებელს/დამკვეთს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადავილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებლების 0,2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულებას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 2%-ს.

5.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს გამყიდველს ძირითადი ვალდებულების შესრულებიდან.

6.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულება.

6.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით..

7. დავათა გარკვევის წესი

7.1 ყველანაირი დავა, რომელიც წარმოიშვება კონტრაქტთან დაკავშირებით, გადაწყდება მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მაშინ საქმე დაექვემდებარება სასამართლოს გადაწყვეტილებას.

8. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

8.1 მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი მოვალეობების არასათანადოდ შესრულებული გამოწვეული ზარალის ანაზღა-ურებისაგან, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოების მოქმედებით, რომელთა დადგომა ვერ იქნებოდა წინასწარ ნავარაუდები, ან ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული ჩვეულებრივად წინ დახედული საწარმოს მიერ (ფორს-მაჟორი).ასეთ გარემოებებად მხარეები მიიჩნევენ: ომს, ნებისმიერი ხასიათის საბრძოლო ან სამხედრო მოქმედებებს, დივერსიებს, ბუნებრივ კატასტროფებს, გაფიცვებს, ხანძარს, ხელისუფლებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ისეთ დადგენილებას, რომელიც გავლენას ახდენს მხარეთა მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებაზე.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები

დამკვეთი	შემსრულებელი
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7 ს/კ 204469280 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი	შპს „41 გრადუსი“ ქ.თბილისი, შავთელის №13 საინდ. კოდი 404393599 ბანკი „საქართველოს ბანკი” კოდი BAGAGE22 ანგ. № GE70BG 0000 0008 8823 3400

პ. შენგელაია

ს. სიორიძე